# სახალხო გაზეთი

№ 170 კვირა, 28 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 170

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარემე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპოდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул. N 12, Семену Пашалишвили.

ცალ-კე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
**** ხელის მომწერთა საყურადღებოდ ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванская ул., № 12, Семену Пашалишвили.

თედორე, ფოტინე, ელისაბედი, ოლღა, გერასიმე, ალექსი და ვასილ არდიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი—თავის ასულის, ხოლო მეორენი—დისა
ნინოსას.
დაკრძალვა მოხდება კვირას, 28 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, დიდ ყვირილაში. (2—241—2)

25 ნოემბერს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
ვლადიმერ სიმონის ძე ძიძიგური,
რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მამა სიმონ ერისთავის ძე ძიძიგური, დედა პელაგია ამბაკოს ასული ძიძიგური, და ელენე სიმონის ასული ჯიქიძე, სიძე მიხეილ ანტონის ძე ჯიქიძე, ძმები ანტონი და მიხეილ ძიძიგურები, ბიძები ისიდორე და ერასტი ახათიანნი. ბიძაშვილები ნინო და ოლღა ახათიანნი. პანაშვიდი 28 და 29 ნოემბერს ბინაზე ახალციხის შესახვევი № 6, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა სამშაბათს, 30 ნოემბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე დილის 9 საათზე. (1—245—1)

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 26.
კვირას, 28 ნოემბერს, 1910 წელს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
ყაჩაღები
ტრაგედია 5 მოქმედებად და 8 სურათად შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, არადელი. გოცირიძე, გვარამე, ქივიძე, მდივანი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, საფაროვი, შალიკაშვილი, ციციშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ს. ალ. მესხიშვილი.
ადგილების ფასი: გალერეა 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.
დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.
მზადდება წარმოსადგენად: „ორი ვნება", „ქალის ჭკუა", ნორჩი თაობა", მსხვერპლი და სხვ.

რ. ა. პორტუგალოვისა
ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან
დიდ ძალი
ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები
იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები
კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.
ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—47

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. შ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. მიშველა—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წო. 6.—500)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—34)

ძვირფასი კახური ღვინოები
კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან
ძმ. ხელაშვილებისა.
სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11. სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.
ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.
(20—195—8) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

მოითხოვეთ ძვირფასი კახური ღვინოები
თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.
საკუთარ ვენახებიდან.
საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—14)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორიულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:
ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
ზედგენიძე შ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., და პარასკ. 1—2 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.
მელიქიშვილი. ნ. შ. ქირურ. და დაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირხალავა რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.
ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—337)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტუღუშლაშვილი დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ., ფილაროვის სახლი, (50—170—18)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—98)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ნინო ჩხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—42

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—24)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—273

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ამხ. „ხორავანი" უკვე შეუდგა ი. გრიშაშვილის ლექსების ბეჭდვას, პატარ-პატარა წიგნაკებად.
—პირველი წიგნი—
„ოცნების კონა"
გამოვა დეკემბრის პირველ რიცხვებს. თვითეული წიგნი შეიცავს 32 გვ. და ღირებს 10 კაპ. (4—3)

გნიი წიგამომცემლობა
„კოლხიდა"
პატივისცემით სთხოვს თავის აგენტებს, რომ დაიჩქარონ ფულის გამოგზავნა, რადგან მხოლოდ უფულობის გამო შეგვეშლება ხელი და ვისაც ფული გადახდილი აქვს თავის დროზე იმასაც ვეღარ ჩავაბარებთ. კიდევ ვიმეორებთ, უკეთუ ამ თვის დამლევამდე ფულებს ვერ მივიღებთ, იმ აგენტებს და ხელის-მომწერლებს წიგნები არ გაეგზავნებათ. ფული მხოლოდ ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: ტფილისი, ქ. თავართქილაძე.
ვისაც პირადათ საქმე აქვთ ჩვენთან, კანტორა იმყოფება სემენოვის ქ. № 4, სტამბა „ნადეჟდა"-ში. (3—3)


## ტფილისი, 28 ნოემბერი

**ჩვენი ქველ-მოქმედება.** ვერ ვიტყვით, რომ, ეგრედ წოდებული, ქართველი საზოგადოება გულქვა იყოს და თანაგრძნობით არ ეკიდებოდეს სხვა და სხვა საერთო საქვეყნო საქმეს. პირიქით, ხშირად იგი დიდის ხალისით ეკიდება საზოგადო მნიშვნელობის საქმეებს და შეძლებისამებრ არც ქონებრივ წვლილის გაღებაზე ამბობს უარს. 1907 და 1908 წლებში, მაგალითად, ქართველმა საზოგადოებამ წვრილ წვრილის შეწირულებებით საკმაოდ დიდი თანხა მოაგროვა, მოუსავლობისა გამო დაზარალებულთა სასარგებლოდ; ყველგან, სადაც კი ქართველები სცხოვრობენ, ყოველ წლივ რაიმე გასართობი სალამო იმართება ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ და ამ სალამოებს ხალხი თავის მოვალეობად სთვლის დაესწროს, რათა შემოსავლის საერთო ჯამი მცირე არ იყოს; ტფილისში ამავ საზოგადოების სასარგებლოდ ყოველ წელს იმართება სეირნობა და ბაზრობა; ერთსაც და მეორესაც საზოგადოება მუდამ დიდის თანაგრძნობით ეკიდება, ყველას ჰსურს ხელი შეუწყოს საქმის წარმატებას და შეგნებულად ეხმარება მას ხშირად, როცა ჩვენი დამსახურებული და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, რაიმე შემთხვევის გამო, გასაჭირს განიცდიან, ფართო საზოგადოება არაფერს არა ჰზოგავს, ოღონდ კი მათ ეშველოთ რამე. მოვიგონოთ, მაგ., რა თანაგრძნობით მოეკიდა, რამდენისამე წლის წინად, ქართველი საზოგადოება ჩვენს დიდს არტისტს ბ-ნს მესხიშვილს, ავადმყოფობის დროს. ერთი სიტყვით, ჩვენი, ეგრედ წოდებული, საზოგადოება საზოგადოებრივს ალღოს მოკლებული არ არის. მართალია, სხვა, უფრო კულტურულ და უფრო განათლებულს ქვეყნებში, საზოგადო მნიშვნელობის საქმეებს, ხალხი მეტის გულმხურვალებით ეპყრობა და საჭიროების დროს, მეტს ხელ-გაშლილობას იჩენს, მაგრამ არც ჩვენი საზოგადოებაა გულმკვდარი.

ალსანიშნავია მხოლოდ, რომ ჩვენის საზოგადოების გულშემატკივრობა ძლიერ იშვიათად და ძლიერ ნაკლებ გამოიხატება ისეთ წვრილმან, მაგრამ დიდად საყურადღებო საქმეებში, რომელთა გარშემო ჩვეულებრივ არავითარი ხმაურობა არ შეიძლება ასტყდეს და რომელთაც, ასე ვთქვათ, კერძო, ანუ ვიწრო ხასიათი აქვთ. ამგვარი საქმეა, მაგალითად, არა საზოგადო მოღვაწეების, არა ცნობილ პირების, არამედ ფართო საზოგადოებისთვის უცნობ პატარა ადამიანების სხვა და სხვა ნაირი გასაჭირი, რომელიც მათ სიცოცხლეს უსპობს, მაგრამ როგორღაც უჩინრად, ქვეყნისთვის შეუმჩნევლად და უხმოდ. ამ გვარივე საქმეა, მაგალითად, მივარდნილ მივიწყებულ სოფელში სკოლების და სამკითხველოებისთვის დახმარება. თავის თავად ცხადია, ასეთ წვრილმან საქმეებში დახმარებისთვის, ვერც დიდს სახელს მოიხვეჭს ვინმე და, ვერც შესამჩნევად შეუწყობს ხელს მთელის ერის კულტურულ ზრდას, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ წვრილმან ქველმოქმედებას თავისი დიდი შინაგანი ღირსება არა ჰქონდეს. ჩვენს დაბეჩავებულს ქვეყანაში დიდძალი ხალხი განიცდის უუკიდურეს გაჭირვებას, მაგრამ ამ გაჭირვებულ ადამიანებს მოკრძალებით, თუ სხვა რამ მიზეზით, ვერ გაუბედნიათ ან ვერ მოუხერხებიათ თავისკენ ფართო საზოგადოების გულისყური მიიქციონ და ქველმოქმედთა გულ-შემატკივრობა გააღვიძონ თავის სასარგებლოდ. უკიდურესი სიღარიბე და აუტანელი პირობები, რომლებშიაც სცხოვრობენ უღარიბესი ადამიანები, ისე შორს არიან ცხოვრების საერთო ფერხულიდან, რომ, ეგრედ წოდებული, საზოგადოება ამ პირობებს ვერც კი ჰხედავს. სხვა ქვეყნებში ამ უსახელო გაჭირვებულ ადამიანებს ჩვეულებრივ ისეთი ქველმომქმედნი უწვდიან დახმარების ხელს, რომელთაც არავითარი სურვილი არა აქვთ თავისი სახელი გააქვეყნონ და უხმო გაჭირვებას უხმოდვე აკმაყოფილებენ, თუ მთლად არა, ცოტათი მაინც. რუსეთის დიდ ქალაქებში, მაგ., ქვეყნისათვის სრულიად უცნობი ქველმომქმედნი, რომელნიც თავის სახელს არ ამჟღავნებენ, ყოველ წელიწადს ასობით სტუდენტობას აძლევენ სწავლის ფულს და იხსნიან მათ გაჭირვებისაგან. ციმბირში გადასახლებულთათვის რუსეთიდან მათვის ყოველთვის იგზავნება უსახელო და უცნობ ქველმომქმედებისაგან: გაზეთები, წიგნები, თბილი ტანისამოსი, ფული და სხვა. დღესასწაულ დღეებში ღარიბ ღატაკებს ყველა დიდ ქალაქში ურიგებენ ნაირ-ნაირ საჩუქრებს, რომლებიც აგრეთვე უსახელო ქველმომქმედთა წვლილს წარმოადგენს.

ჩვენი საზოგადოება ამ გვარს უჩინარს და უსიტყვო დახმარებას თითქმის არავის არ უწევს. გაჭირვება კი წლითი წლობით იზრდება. მატულობს სიღარიბე და რიცხვი ღარიბ-ღატაკისა ჩვენში. მატულობს აგრეთვე, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ჩვენი ქვეყნიდან უცხო შორეულ ქვეყნებში გადახვეწილთა რიცხვი. პრინციპებით და საზოგადო საქმის წარმატების მოსაზრებებით გამოწვეული ქველ-მოქმედება ერთია და ის უსახელო ქველ-მოქმედება, რომელსაც ჩვენ მოგახსენებთ, კიდევ სხვა. ეს უსახელო, უაფიშო ქველ-მოქმედება გაბრწყინვებული არ არის მაღალ-მაღალ ფრაზებით, მაგრამ იგი გამოხატულებაა ადამიანის გულის ულრმესს ნაწილებში ჩამარხულის სოციალურის გრძნობისა. ეს ქველმოქმედება ხელ-მძღვანელობს არა გონებისაგან, მშრალათ, განსაზღვრულ სიკეთის მოსაზრებით, არამედ იმ უბრალო გრძნობით, რომ დახმარება უნდა გაეწიოს ყოველ გაჭირვებულ ადამიანს, განურჩევლად იმის გასაჭირის მიზეზისა. ასეთი ღრმად კაცობრიული ღრმად ადამიანური ქველ-მოქმედება შესაძლებელია არა მარტო მოყვასის, არამედ მტრის შესახებაც. ეს ადამიანური მოსაზრება უძევს, მაგალითად საფუძვლად იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო მავნედ ცნობილ ადამიანებს ჩვეულებრივ საბოლოოდ კი არ უსპობს სიცოცხლის სალსარს, მხოლოდ ცხოვრების პირობებს უცვლის. თუ სახელმწიფოც კი ასე ადამიანურად ეპყრობა ამათ, ვინც მას მავნედ მიაჩნია, რაოდენად ძლიერი უნდა იყოს სხვა და სხვა შემთხვევისა გამო ცხოვრებისაგან გარიყულთა მიმართ თანაგრძნობა ცოცხალ ადამიანებისა, რომელთაც გული ამოძრავებს?

უნდა იყოს, მაგრამ არის კი?.. ჩვენს საზოგადოებაში ამის ნიშნებს სანთლით რომ ეძებოთ, მაშინაც ვერ იპოვით.

## სახელმწიფო სათათბირო

**კაპუსტინი თავმჯდომარეობს.** სასკოლო კანონ-პროექტის მეცამეტე თავს იხილავენ. ეს თავი სკოლებში კურს-დამთავრებულთათვის სახალხო კითხვათა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოების მოწყობას ეხება, რასაც სამოსწავლო საბჭო ითავებს.

**მარკოვი მეორე ამბობს:** ეს განყოფილება ფონ-რეპმა, კოვალევსკიმ, კლიუჩევმა და თვავად აზნაურთა წინამძღოლმა თ-მა კურაკინმა კანონ-პროექტში იმისთვის შეიტანეს, რომ 4 მარტის წესები კრების მართვის გამო გააბათილონ. სანამ ერობანი სანდო ხალხის ხელშია, სკოლებში მიტინგების გამართვის ნებას არ მისცემენ, მაგრამ, როდესაც სწავლის საქმე უკულტურო და უმეცარ ხალხის ხელში გადავა, სკოლას რევოლუციურს ელფერს მისცემენ. სამოსწავლო საბჭოთა შემადგენლობა და მათი ფართე უფლება მოსილობა თავდებობას ვერ გაგვიწევს, რომ სკოლაში წესიერება არსებობდეს, რადგანაც საბჭოებში

რუსეთის სახელმწიფოებრივობის აშკარა მტერი—ებრაელები ჭარბად მოჰყვებიანო. ადმინისტრაცია ასეთ რევოლუციონერთა ბუდეს ვერ გაუმკლავდებაო.

**მომხსენებელი კოვალევსკი** ამ [illegible] მიღებას დაჟინებით თხოულობს, ეს თავი სათათბირომ კომისიის რედაქციით მიიღო.

**პროექტის მე 14 თავს** იხილავენ, რომლის ძალითაც უწმ. სინოდის გამგეობაში მყოფი სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს უწყებას დაექვემდებარება.

**ეპისკოპოსი ევლოგი** საეკლესიო სკოლათა დამოუკიდებლობას იცავს. მეთოთხმეტე თავით ეკლესიის უფლებათ სახელმწიფო ჰყლაპავს. ჩვენში საეკლესიო სკოლების ხელში ჩაგდება პოლიტიკურის მოსაზრებითა ჰსურთ, და არა სწავლის გაუმჯობესობით. საეკლესიო სკოლების მოსპობით და არა რუსთა სკოლების დაარსებით, სახალხო სკოლას ამახინჯებენო.

ორატორთა ჩაწერვა მოსპეს. 53 ჩაეწერა.

**თ-დი ტიმიშევი.** საფრანგეთის მაგალითი აქ მოსატანი არ არის, რადგანაც იქ საეკლესიო და სამინისტრო სკოლები ერთმანეთის წინააღმდეგობას წარმოადგენდნენ. სამინისტროს სკოლებში სამღთო სჯულსაც კი არ ასწავლიდნენ, რუსეთში განსხვავება მხოლოდ უწყებაშია და არა არსებითი. საეკლესიო სკოლები რომ ერთ უწყებას დაუქვემდებაროთ, ეს ეკლესიის ავტორიტეტს არ ამცირებს, ეს მხოლოდ სასულიერო წოდების ავტორიტეტს ჰფარგლავს, რომელიც ეკლესიის ავტორიტეტს ჰფარავს და რომელმაც რუსეთის საუკეთესო შვილი განდგომილად აქცია. უწყებათა ინტერესები უნდა უკუ ვაგდოთ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ვესარჩლებოდეთ.

**გრაფი უვაროვი** აღნიშნავს, რომ 15 წლის განმავლობაში საეკლესიო სკოლის სასარგებლოდ ვქადაგებდი (ვოლსკის მაზრაში), მაგრამ დავრწმუნდი, რომ ადგილობრივ ერობის სკოლა მუდამ მაღლა იდგაო. ამისი მიზეზია ისა, რომ სასულიერო წოდება სკოლას ისე უცქერის, როგორც შემოსავლის წყაროს. მღვდლები ერობის სკოლებში ხალისიანად ასწავლიან სამღთო სჯულს, რადგანაც გასამრჯელოს ღებულობენ, საეკლესიო სკოლებში სწავლებას კი ჭირივით გაურბიან. დაე, ეკლესიამ თავისის ხარჯით გამოიყენოს თავის უფლება სწავლებისა, როგორც ძველადაც იყო. ვინც სკოლას ინახავს, მისი მეთვალყურეობაც იმას ეკუთვნის.

**მასლენიკოვი** ამბობს, რომ ჩვენში კონფესიონალურ სკოლის დაარსება ჰსურთ, პორტუგალიიდან განდევნილი იეზუიტები უნდა მოიწვიონ, რადგანაც რუსეთის სამღვდელოებას ამგვარი მიმართულება ჯერ ვერ გამოუჩენიაო.

**თავმჯდომარის ადგილს გუჩკოვი იჭერს.**

**ლვოვი მეორე** ამბობს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ძველთაგანვე საერო უფლებათა ხელში ჩაგდებას ეპოტინებოდა. ამ საკითხის ურიდიულად გასარკვევად საჭიროა სინოდის ობერ პროკურორისა და განათლების მინისტრს მოვუსმინოთ.

**მამა გეპეცკი** ცხარედ ესარჩლება რუსულ საეკლესიო სკოლას.

**ბაზილიჩი** ამტკიცებს, რომ საეკლესიო სკოლები განათლების სამინისტროს უნდა დაექვემდებაროს. უკეთუ სახელმწიფო საბჭო სათათბიროს დადგენილებას არ დაამტკიცებს, შესაძლოა, რომ ვიბორგის მოწოდება განმეორდესო.

**მამა სტანისლავსკის** აზრით, სახალხო სკოლის საშუალებით, პროექტი სცდილობს, რომ სასულიერო წოდება ხელში დაიჭიროს და ბრძანებლობა გაუწიონ

**მამა სპასკი** აცხადებს, რომ სასულიერო წოდების 25 მოღვაწეობა სკოლის საქმეში უკეთესი პასუხია ყველა მოწინააღმდეგეთათვისაო (მარჯვნივ ტაშის ცემა).

**მამა კირილოვიჩის** აზრით, შეუძლებელია, რომ სახალხო სკოლა ადგილობრივ საზოგადოებათა ხელში გადავიდეს, იმ საზოგადოებისა, რომელიც სათათბიროშიაც კი რევოლუციონერებსა ჰგზავნისო.

**მამა მანკოვსკი** ამტკიცებს, რომ საეკლესიო სკოლას ხალხი თანაგრძნობით უყურებს, რასაც იმითი ასაბუთებს, რომ პოდოლის გუბერნიაში ერობამ საეკლესიო სკოლების ხარჯი თვითონ იკისრაო. 1908 წელს ფონ-ანრეპმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც სახალხო განათლების სამინისტრო შავის ლაქებით მოსვარა, ეხლა კი ფონ-ანრეპსა ჰსურს, რომ საეკლესიო სკოლები ამავე სამინისტროს ჩააბაროს. ეს კანონ-პროექტი არ დაკანონდება, ვინაიდან—ორატორის აზრით—სახელმწიფო საბჭოში ისეთი სახელმწიფო მოღვაწენი სხედან, რომელნიც კანონ-პროექტს უარჰყოფსო (მარჯვნივ ტაშის ცემა).

**კარაულოვი** აღნიშნავს, რომ საეკლესიო სკოლები სახელმწიფო საბჭოს სურვილით არის დაარსებული და მან სამჯერ აღძრა საკითხი სკოლების გაერთიანებისა. თუ გსურთ, რომ რუსეთი ბედნიერი, ძლიერი და ცხოველმყოფელ ძალით აღივსოს, შავრაზმელთა ფეხის ხმას ნუ აჰყვებითო (მარცხნივ ტაშის ცემა).

შემდეგი სხდომა ორშაბათისთვის დაინიშნა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**თეირანი.** გაზავზულზე გიუმუშტებში ორი რუსის მოკვლისათვის ასტრაბადში მყოფმა რუსეთის ელჩმა გიუმუშტეპეს მცხოვრებთ 10 ათასი მანეთი გადაახდევინა.

**პარიზი.** ახალშენთა მინისტრმა განაცხადა, რომ ვადაიში დაღუპულთა სამაგიეროდ ჯარს გავგზავნიო. ამ ბრძოლაზე პალატას 3 დეკემბერს მოხსენდება.

**ბერლინი.** ელრიხის პრეპარატს ოფიციალურად „სალვარსან“-სი უწოდეს. მისი ხმარების ნება ყველა ექიმებსა აქვთ.

**პარიზი.** წყალ-დიდობიდან დაზარალებულთა დასახმარებლად სენატმა 5 მილიონი ფრანკი გადასდო.

**ლონდონი.** ღამის 1 საათამდე არჩეულია 147 ლიბერალი, 193 უნიონისტი, 28—მუშათა პარტიისა, 45 რედმონდის მიმდევარი და 5—ობრეანის მომხრე.

მინისტრი ჩერჩილი 3,555 ხმის უმეტესობით კვლავ აირჩიეს.

**სტამბოლი.** პალატა. დიდი ვეზირი ოპოზიციას უპასუხებს და აღნიშნავს, რომ არა ალბანელთა გულწრფელობა არა სწამსო. სესხის თაობაზე ვეზირმა განაცხადა, რომ საფრანგეთს არსებითი კანტროლის უფლება ჰსურდა და ოსმალეთი მისთვის არ დათანხმდაო. პარიზის ხელშეკრულობის თანახმად, ოსმალეთის ხელშეუხებლობას ყველა სახელმწიფოები გულწრფელად სცდილობენ. მე ვაცხადებ, რომ ჩვენ შეგვიძლიან და გვსურს კიდეც—ყველასთან კეთილ განწყობილება ვიქონიოთ. კუნძულ კრიტოსის საქმე საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგანაც სახელმწიფონი კრიტოსს საბერძნეთის ხელში არ ჩააგდებენო.

**ოპორტო.** ხაზინის მთავარი ხაზინადარი დაატუსაღეს. მას ბრალსა სდებენ, რომ ხაზინის ფულით ქვრივ დედოფალ მარია პიას ვალები გაუსტუმრებია.

**კალკუტა.** მუსულმან ინდუსებს ბრძოლა მოუხდათ. სამშაბათს, დიდ ბაირამობის დღეს, დიდ არეულობას მოელიან.

**პარიზი.** ლეგანე 3200 ადლის სიმაღლეზე აფრინდა.

**ფლორენცია.** ნაშუადღევს ქალაქში დიდი მიწის ძვრა იყო. არავინ უმსხვერპლია.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. სამხედრო ხარჯთ აღრიცხვა 1911 წლისათვისაც იგივეა, რაც 1904 წელს იყო—804 მილიონი მარკა.

**რ უ ს ე თ ი**

**ყაზანი.** საოლქო სასამართლომ „ყაზანის ტელეგრაფის“ რედაქტორს პროფესორ ივანოვსკის შეურაცხოფისათვის, 6 თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

**კიევი.** საგუბერნიო ერობამ დაადგინა, რომ ერობის 28 სკოლაში სახალხო კითხვანი მართოს ხოლმე. ლექტორებად მასწავლებლები იქნებიან.

**ბურნაული.** სახაზინო არყის დუქნებს ფულის მკრეფავმა კრავცომა 30 ათასი მანეთი გაიტაცა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი, ცნობილი პროფესორი, იურისტი სერგეევიჩი გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მარკოვი მეორე რუსთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს.

**ბრესტი.** სამხედრო გემთა სახელოსნოში მუშის გაუფრთხილებლობით თოფხანაში ცეცხლი გაჩნდა. შენობის ნახევარი დაიწვა.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი.** ხვალ, 30 ნოემბერს, ქალაქის საბჭო აირჩევს გამგეობის წევრს. დღემდე ამ თანამდებობაზე დასახელებული იყო ორი კანდიდატი: ბ-ნნი ჯაბადარი და ხუნუნცი. უკანასკნელმა თავის კანდიდატურაზე გადაჭრით უარი განაცხადა გუშინ, საღამოს, ამ არჩევნების გამო, ხმოსანთა კერძო თათბირი იყო დანიშნული.

✦ **ფრენა.** დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე განჯიდან ტფილისში გამოფრინდება ავიატორი ვასილიევი და, ვარაუდით, ტფილისში იქმნება ორის საათის შემდეგ. დიდუბის საჯირითო მოედანზე მას მიეგებება კავკასიის მფრინავთა ჯგუფი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულს თეატრში წარმოდგენილ იქმნება შილერის ცნობილი ტრაგედია „ყაჩაღები“. როლები, როგორც ვწერდით, მთავარ არტისტებს შორის არის განაწილებული.

✦ **ზელიმ ხანი.** გაზეთ „ბაკუ“-ს სიტყვით, ზელიმხანს ნამესტნიკისთვის მოუწერია, ჩემი ცოლ-შვილი გაანთავისუფლეთ, თერგის ოლქში რეპრესიები მოხსენით და მაშინ მე დაგმორჩილდებით ჩემის ნებითაო.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები ტფილისში.** მომავალ წლიდან კურსებთან იხსნება მედიკური ფაკულტეტი. ამის გამო დღეს კურსების დამაარსებელთ თათბირი ექმნებათ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით.

✦ **ნება-დართული პიესები.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო წარმოდგენილ იქნეს ქართულ კავკასიის სცენებზე ჰ. ირეთელის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ორშაბათი“ და ბარ(?)ის 3 მოქმ. კომედია „კონცერტი“ თარგმანი ვ. გუნიასი.

✦ **სამართალში მიცემა.** ნამესტნიკმა დაამტკიცა ნამესტნიკის საბჭოს რეზოლუცია, რომლითაც სამართალში აძლევენ გორის მაზრის მესამე რაიონის მომრიგებელ შუამავლად ნამყოფს თავ. კ. მ. ამირაჯიბს. მას სამსახურის დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენას აბრალებენ.

✦ **„ნაკადული“.** გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ნოემბრის ნომერი (მცირე წლოვანთათვის) და მოზრდილთათვის № 11. ჟურნალი ჩვეულებრივ კარგად არის შედგენილი.

✦ **ჟურნალ „მოსავალი“** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალის ნოემბრის (21 და 22) ნომერი.

✦ **ახალი წიგნი.** უკვე გამოვიდა და რედაქციამ მიიღო მოსე ჯანაშვილის ახალი წიგნი „ნაშრომი“ (№ 3), რომელიც შეიცავს შემდეგს ცნობებს; „რუსთაველის გარშემო“. და ქართული ბიბლია მე-6 საუკ.: აღწერა, ლექსები, ლექსიკონი. წიგნი ღირს ერს აბაზად.

✦ **სენატმა გაამართლა** მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე გ. ზ. ნაჩიბაია, რომელსაც სამსახურში უყურადღებობა ბრალდებოდა.

✦ **26 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 95 უპასპორტო.**

### საუწყებათა-შორისო თათბირი შავი-ქვის მრეწველობის შესახებ

(წერილი პეტერბურგიდან)

17 და 19 ნოემბრის სხდომა.

წინა წერილებიდანაცა სჩანს, რომ კრებამ თავის მსჯელობის საგნად საკითხთა სიის მხოლოდ ორი მუხლი გაიხადა—პირველი და მეხუთე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ყველანი გრძნობდნენ, რომ მართლაც ეს მუხლებია პროგრამის ძირითადი მუხლები, დანარჩენი ნაწილები კი—მისი თითქმის ზედნაშენი და სხვათა შორის ჩართული მუხლებიაო. 17 ნოემბერს კრება ისევ ტარიფის განხილვას დაუბრუნდა. **ბ. ზდანოვიჩი** რამოდენიმეჯერ შეეცადა დაეკავშირებინა ტარიფის საქმე მრეწველობის სხვა საკითხებთან, საიდანაც უფრო ნათლად უნდა გამომდინარებულიყო ტარიფის დაკლების აუცილებლობა. მაგრამ თავმჯდომარე, ყოველს ასეთს შემთხვევაში, წინადადებას აძლევს მას ილაპარაკოს მხოლოდ და მხოლოდ ტარიფზე. საზოგადოდ მრეწველობის შესახებ კი შეგიძლიანთ თქვენი აზრით წერილობით მოხსენებაში გამოსთქვათო. ვერც სხვა ორატორებმა აუქციეს მხარი პროგრამის ზოგიერთ მუხლებს, მაგალითად, შავი ქვის გადაზიდვის გაუმჯობესებას. მაგრამ თავმჯდომარე სცდილობს ამ „მეორე ხარისხოვან“ საკითხებისაკენ მიმართული ყურადღება ისევ ტარიფზე გადაიტანოს. ამიტომ დანარჩენ საკით

# „ალანურობა“ სამეგრელოში

იმ დროს, როდესაც ჩვენში რასაც კი ძველებური ელფერი ადევს, აწუნებულია და ხალხი ჯერ უცნობ ახალს ეტანება, საინტერესო და თითქმის გასაკვირველია, როცა ამ დროს რომელიმე სოფელში ხედავთ, ძველ კარგ ჩვეულებასა, რომელიც ხალხს არამც თუ გადავიწყებია, პირიქით დიდის სიამოვნებით ასრულებს მას.

ერთი ასეთი თავისებური, საოცარი ჩვეულება ჰქონიათ სოფ. ბიას საზოგადოებაში. სოფ. ბია, ზუგდიდის მაზრაში მდებარეობს, ხოპის მეზობლად.

20 აგვისტოს, სხვებთან ერთად, ჩვენც გავემართეთ ამ სოფლის საყდრისკენ რომ „ალანურობა“ ჩვენის თვალით დაგვენახა. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როცა ერთმა მოხუცმა საყვირს ხელი დაავლო და ამ მაღალ გორაკიდან მძლავრად გადასძახა. მან ამით ამცნო სუყველას რომ „ალანურობა“ იწყებოდა. გაისმა ქალ-ვაჟთა სევდის გადამყრელი, გამქრობი სიმღერა და თან მოჰყვა ნაზი, ტრფიალით სავსე, მეგრულ ქალების ცეკვა. შემდეგ დაიწყეს „ალანურების“ არჩევა. „ალანური“ უნდა იყოს ახალგაზრდა, უცოლო ყმაწვილი, რომელსაც წლის განმავლობაში ს. ბიის საყდრისათვის „ალანურობა“ აღუთქვამს. საჭიროა თორმეტი „ალანური“, ექვსი იმერეთის მეფისათვის და ექვსი კი სამეგრელოს მთავრისთვის. ნახევარი საათის შემდეგ „ალანურები“, არჩეულ იქმნენ და შუბლზე თეთრი ტილო შემოაკრეს, მხოლოდ მეფედ და მთავრად ორი, სოფელში ენა წყლიანობით ცნობილნი, მოხუცი აირჩიეს, მერმე მეფე და მთავარი შეერთდნენ; წინ მოხუცი გაუძღვა თეთრში გამოწყობილი; ორს საყვირი ეჭირა. მოხუცი წელში გაიმართა და ქართულად დაიძახა „აის გაის-“ო!

თორმეტმა „ალანურმა“ და საზოგადოებამ მწყობრის ხმით შესძახა: „აის-გაის! აის გაისო“.

მერმე გაისმა საყვირის ხმა, რომლის შეჩერების შემდგომ, კვლავ გაისმა მარტო ხმა:

„— ააის-გააის!“

ამას კვლავ მოჰყვა მწყობრი „აისი“ და საყვირის ხმა. ეს განმეორდა, სანამ საყდარს სამჯერ არ შემოუარეს. მერმე გაჩერდენ საყდრის წინ და აქაც წინამძღვარის ლოტბარობით რაღაც სიმღერა გააბეს, მერე წელში გაიმართენ და ჯოხები-ჯოხებს დაახალეს, შემდეგ სამეგრელოს მთავარმა თავის ამალით საყდრის ახლო დაიჭირა ადგილი ხოლო მეფემ, იქვე მდგომ ცაცხვის ძირს მოიკალათა. საზოგადოება ორად გაიყო და მეფეთა შუა ფართე ადგილი დასტოვა, რომ „მოციქულების“ თავისუფალი გზა მიეცეს. მოციქულებად ხუთი კაცი იყო და გააბეს ენის მიტან-მოტანა.

სამეგრელოს მთავარმა ცაცხვისკენ გაიხედა და იკითხა:

— „ვინ არის იქ ცაცხვის ძირს, ყორნის თავის ოდენა მოსჩანსო?— იმერეთის მეფეაო“—მოახსენეს მოციქულებმა.

— იმერეთის მეფეო? მიკვირს მისი საქციელი, როგორ მოხდა, რომ სამეგრელოში შემოსულა და მის მთავრისთვის კი არა უცნობებია რაო? ეკითხოს მიზეზი ასეთი ურჩობისაო!—ბრძანა მთავარმა.

მოციქულები მოწიწებით გაემართენ მეფესთან, რომელიც ამ დროს თავის ამალასთან გაცხარებით საუბრობდა. მთავრის სიტყვა მეფეს გადასცეს. ხალხი, რომელიც იმერეთის მეფესკენ იყო, სიცილს ვერ იკავებდა.

— მე ვარ მეფე იმერეთისა და მფლობელი საქართველოსი დასავლეთით და აღმოსავლეთითაც. სამეგრელოს მთავარი ჩემი „ვასალია“ და არა ბატონი. ამისთვის გადაეცით მას ჩემი გულის წყრომა და გააფრთხილეთ, რომ არ განმარისხოს, თორემ გლახა საქმე მოელისო.

მოციქულებმა ეს სიტყვები მთავარს რომ გადასცეს, გაისმა სიცილი მთავართან მოგროვილ ხალხისა.

მთავარი გაოცდა და ბრძანა:

„იმერეთის მეფე ეხლა ლეჩხუმში მეგულებოდა და ის კი სამეგრელოში შემოჭრილა; მართალია, სამეგრელო მდიდარია ავლა დიდებით, ხოლო იმერეთი—ღარიბი; თუ სურსათი შემოჰკლევია, შემომითვალოს და იმდენ დიდებას უწყალობებ, რომ მისმა ამალამ ვერც კი „გადაათრიოს“ სამეგრელოს საზღვარზე და თუ სხვანაირად მოსულა აქ, მაშინ—ეს უფლების შეურაცხყოფა და ძვირად დაუსვამ მეფეს „ასეთ თავის აგდებასაო“.

მეფეს რომ ეს მოახსენეს, განრისხდა და შემოუთვალა:

— „უთხარით, რომ იმერეთის მეფე, არც დახმარებას საჭიროებს და, არც სამეგრელოში მოსვლისათვის ნებართვას; მან კეთილი ინება აქ მობრძანება, დაჰყოფს მცირე ხანს და თავისის ნებითვე იმერეთში გაემართებაო“!

მოციქულებმა რომ ეს სამეგრელოს მთავარს მოახსენეს, ფეხზე წამოიჭრა და მიუგო:

„თავი აუგდია იმერეთის მეფეს, ასეთი მეტიჩრობისთვის! ეხლავე უთხარით აქედან გაბრძანდნენ, თორემ შავ დღეს დავაყენებო!

მეფემ შეუთვალა„—

თუ მართალს მათქმევინებთ, სამეგრელოს მთავარი მე ძაღლების მწვრთნელად მყავდა, ეხლა კი, დახე როგორ გაამაყებულა! უთხარით მაგ ჩემ მწევრების აღმზრდელს, რომ სიტყვა ასწონ დასწონოს, თორემ გლახა დღეს დავაყენებ... საყდრის კარებთან რომ დამდგარა, იმას ჯობია, შიგ შევიდეს გასწმინდოს, გაასპეტაკოს და ჩემს მისაღებათ ამალა დაამზადოს, თორემ დაბადების დღეს ვაწყევლინებო!

მოციქულებმა დიდის მორიდებით, მეფის სიტყვები მთავარს გადასცეს.

მთავარმა იოხუნჯა.

„დიახ, მეფე მართალია, მე, სამეგრელოში ძაღლებსაც კი ვწვრთნი, იმერეთში კი მეფეც არ ყოფილა აზრდილიო“...

მოახსენეს მეფეს თუ არა ეს, წამოიჭრა და დაიძახა:

„აბა, ბიჭებო, თქვენ იცითო!“

სამეგრელოს მთავარმაც სწრაფლ მიატოვა ადგილი და და მეფისკენ გაექანა.

ერთის შეხედვით, ეს ჩვეულება უფრო თამაშს წააგავს, მაგრამ ამ წუთში მეფეთა შორის მდგომარეობამ უკიდურესს ტრაგიზმამდე მიაღწია. მეფეების ამალა „მალანურები“ ისე აენთნენ, რომ მზად იყვნენ ერთმანეთი დაეგლიჯათ, მაგრამ ზოგიერთ პირებმა ჩააგონეს—შეჩერდით, თავი შეიკავეთო...

განრისხებულმა მეფემ მიუგო წინაშე მდგომ მთავარსა.

— „ჩხუბისა და სისხლის ღვრას დავეთხოვოთ, ისა სჯობია ხვალ ჩვენი ამალა შევაბრძოლოთ და ვინც დასძლევს, ის იქნება გამარჯვებული და მართალიცაო.

მთავარი დასთანხმდა და მალანურები ერთმანეთს შეურიგდნენ.

21 აგვისტოს ბრძოლით უნდა დათავებულიყო. ჩვენდა სამწუხაროთ, 21 აგვისტოს ჩვენ იქ მისვლა არ მოგვიხდა, მხოლოდ, როგორც გად მოგვცეს, მეორე დღეს საყდრის გზა შემდეგი სცენას წარმოადგენს:

აიღებენ ვეებერთელა ჯოხს *) და გარშემო ტილოს შემოახვევენ. მერმე გაუშვებენ ერთ მხრივ დადიანის ამალას და მეორის მეფისა და ის მხარე, რომელიც მეორე მხარეს დანიშნული წრეზე გადაიტანს და მასთან ჯოხსაც ხელიდან გამოსტაცებს, გამარჯვებული შეიქნება. ბრძოლის შემდეგ „მალანურები“ მაშინ ჯოხს საყდრის სართულისკენ გადაისვრიან.

29აგვისტოს „მალანურები“ სოფლებში სალოცავად დაიარებიან.

ამ ჩვეულებას საერო-საეკლესიო ელფერი აქვს. მეფე და მთავარი შეიძლება საგაისოდ წრევანდელნი დარჩნენ, „მალანურები“ კი ახალი იქნებიან. მეფისა და მთავრის შორის დიალოგი ყოველ წლივ შინაარსით იცვლება ფორმა კი იგივე რჩება.

ბევრს ვკითხეთ ამ „მალანურობის“ ისტორია, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერი გვითხრეს. ერთმა მოხუცმა განგვიმარტა, რომ ამას „ალანურობა“ უნდა ჰქონებოდა სახელი და მერმე „მალანურობა“ დაურქმევიათო. მაშინ თურმე სამეგრელო ორ ნაწილად იყოფოდა. აღმოსავლეთი სამეგრელო იმერეთის მომხრე იყო, ხოლო დასავლეთი—მთავრისა.

ერთმა აქაურმა ხნიერმა აზნაურმა ივაკა ჯორჯიკიამ შემდეგი გადმოგვცა:

„ჩემი მოურავობის დროს, ამ თამაშს ისეთი ხალისი ჰქონდა, რომ მთელ სამეგრელოს თავად-აზნაურობა აქ იყრიდა თავსაო და ზოგჯერ მინახავს სამას-ოთხასი ცაში მოელვარე ხმალ-ხანჯალი, დამარცხებული მხრისა, რომელნიც, სირცხვილის გამო, ჩხუბს ატეხავდა ხოლმე, ერთ დროს ამ „კაკვის ღალამ“ ისეთი ჩხუბი გამოიწვია და ისე აღელვა ხალხი რომ მე, როგორც მოურავმა, სამი-ოთხი წლით,—ჯოხით ბრძოლა მოვსპე, „მალანურობა“ კი დავტოვე. ამის დაწყების ისტორია არც მე ვიცი, და არც მამისაგან გამიგონიაო“.

ჯა—თ.

*) ამ ჯოხს მეგრულად „კაკვი“ ქვია, მხოლოდ ბრძოლას „გაგვი დალა“. ავტორი.

# სამსჯავრო

(ოსკარ უილდიდან)

სიჩუმე გამეფდა სამსჯავროში და ტიტველი ადამიანი უფლის წინაშე წარსდგა.

უფალმა გადაშალა ადამიანის ცხოვრების წიგნი.

და უთხრა უფალმა ადამიანს:

— შენი ცხოვრება ბოროტებით იყო სავსე. შენ ულმობლად ეპყრობოდი მას ვინც შველას გთხოვდა, უსახლ-კაროს მკვახედ და შეუბრალებლად ექცეოდი. მათხოვრები

...ს კრება მხოლოდ გაკვრით შეეხო მათ შესახებ არავითარი რეზოლუცია არ გამოუტანია. ნამესტნიის წარმომადგენელი ბ. პეტერსონი მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ...ანოვიჩი და ექსპორტიორები თხოულობენ ჭიათურის შტოზე არსებული ტარიფს დაუკლონ 3,5 კაპ. ე. ი. დაიყვანონ იგი ორ კაპეიკამდე. სამინისტროსა და სხვა უწყებათა წარმომადგენლები კი თანახმანი არიან დაუკლონ მხოლოდ 1,5 კაპ. ე. ი. დასტოვონ საექსპორტო მადანზე 4 კაპ. რუსეთში შემოსატან მარგანეცზე ისევ ძველი ტარიფი დასტოვოს (5,5 კაპ.). **თავმჯდომარემ,** გამოაცხადა-რა, რომ შემდეგი და უკანასკნელი სხდომა 19 ნოემბერს იქნებაო, კრება დახურა. ამ მოულოდნელმა განცხადებამ რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში დასტოვა კრების წევრთა უმრავლესობა. ვერ აეხსნა, რას ნიშნავდა ეს, რადგან დანარჩენი ოთხი საკითხი სრულებით გაურჩეველი იყო და ამის გარდა პირველი მუხლის შესახებ ჯერ არავითარ გარკვეულ გზას არ დასდგომოდნენ.

19 ნოემბერს სხდომა დაიწყო 3 საათზე. კრებამ განაახლა მსჯელობა პირველი მუხლის შესახებ, მაგრამ, რადგან კომისიის სხდომებზე ნათლად გამოირკვა, რომ მრეწველთა კრების შესახებ დებულებათა შეცვლა „პროგრამის“ შემდგენელთა სასარგებლოდ არ დაბოლოვდებოდა, ამიტომ კომისიის მოხსენებას გვერდი აუარეს და თავმჯდომარემ არც კი ითხოვა მისი წარდგენა კრების წინაშე. არც კომისიას უცდია თავისი აზრი კრებისათვის,— გაეზიარებინა. მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი საჭიროდ სცნობს მთავრობის კონტროლის გაძლიერებას იმ ნაირად, რომ იგი არ ერეოდეს მრეწველთა კრებასა და საბჭოს საქმეში და არ შეაფერხოს მრეწველობის ნორმალური მიმდინარეობაო. ამის შემდეგ თვით **თავმჯდომარემ, ბ. კონდოიდმა** აიღო სიტყვა. დღევანდელი სხდომა კრებისა არის უკანასკნელი სხდომაო, განაცხადა მან: როგორც ჰხედავთ, დრო და გარემოება ხელს არ გვიწყობს, რაიმე გადაჭრილი აზრი გამოვიტანოთ იმის შესახებ თუ როგორი ხასიათის უნდა იყოს მთავრობის კონტროლი, როგორ უნდა განაწილდეს ხმები მრეწველთა კრებებზე, ან რაში უნდა გამოიხატებოდეს კრებისა და საბჭოს ვალდებულებანი მრეწველობის საზოგადო პირობების გასაუმჯობესებლად. ამიტომ უწყებები ამ საკითხებს თითონ გაარჩევენ ცალკე და მათ შესახებ უფრო გარკვეულ გზას დაადგებიანო.

**ზდანოვიჩი:** შეიძლება ეგ ასე სჯობდეს მაგრამ, იქნებ, უწყებებმა ისეთი ვალდებულებანი დააკისრონ მრეწველთა კრებას, რომელთა შესრულებაც მისთვის, უსახსრობისა გამო, შეუძლებელი გახდებაო. ამიტომ საჭიროა კრების სასარგებლოდ საფუთო გადასახადის შესახებ ეხლავე ვიქონიოთ მსჯელობაო.

**თავმჯდომარე:** მაგის შესახებ თქვენ შეგიძლიათ წერილობით მოხსენება წარმოადგინოთ. მანამდის კი „Прошу не вступать въ пререканія съ предсѣдателемъ“.

ასე დასრულდა თათბირი კრებისა, რომელსაც მიზნად „მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა“ და საჭიროებათა ყოველ მხრივ გამორკვევა“ ჰქონდა დასახული.

**გ. ჭუმბურიძე.**

# პატარა ფელეტონი

## კვირიდან კვირამდე

I.

ნამდვილი თავი

იყო ერთი ენა, არშინის ოდენა,
ჩვეულებად ჰქონდა „ლექციონთა“ დენა,
ესწრებოდა კრებას, ყოველ წვეულებას,
მაღალ იდეალებს შეასხამდა ქებას.
იყო ყოვლით კარგი (თითქოს ჩაგრულთ მარგი)
სურდა კისრად ედვა მთელი ქვეყნის ბარგი.
დადიოდა ფეხით, ყველგან კისრის ტეხით,
მიძვრებ-მოძვრებოდა, ხშირად ნაცად ხერხით.
სადაც უნდებოდა იქა სკუპდებოდა,
გუდას გაბერავდა... სტვირსაც მოჰმართავდა
ბევრჯელ (თუმცა ჩუმად) გული შეუღონდა.
ამ დროს, ვაჰ, ამბავი, მოხდა გულსაკლავი,
დაეკარგათ უცბად საქალაქო თავი.
აზრიალდა ხალხი, აღრუტუნდა ტახი,
ყოველ მხრით აფრინეს კაცი მის მომნახი,
ქვეყანა მოლახეს,—როგორც იყო ნახეს,
ცარიელი თავი... ბევრი ივაგლახეს
აქ კვლავ გაჩნდა ესა, იწყო „რეჩთა“ დენა,
სთხოვა: „—მე მომაბით, მოგეცემათ ლხენა“
ბევრი ითათბირეს, მტერიც იკავშირეს,
და ქალაქისი ზანდუკს ნებით შეაძვრინეს
უპრავასა ოქროს ჯაჭვით გამოაბეს.
უცბად,—შეწყდა „რეჩი“, მხარბეჭ-ანაჩეჩი,
ამეტყველებს ხმოსნებს, უთავ-ბოლო მგოსნებს.
და თუ ვისმეს წასცდა სიტყვა ამხანაგი,
თითს დაიქნევს რისხვით, ბრაზით განაშმაგი.

II.

**ნამდვილი ზღაპარი.**

შავი ზღვისა გმირი, ფოთის სრებაჭირი,
მამულისა მტრებთან უჭირავს კავშირი
კვლავ პეტერბურგისკენ უკვე გაეშურა
(ალბად იქ ქეიფი ისევ მოეწყურა).
და აწ მინისტრებთან მელაკუდობს ისა,
(ბარაქიანია ფოთლების ქისა!)
ნახევარ-კაპეიკს დასტრფის, ეხრუკება
თუ რამე გამოდნა მასვე მოუნდება.
ერთი ბუხტ-ქალაქი ღმერთმა მას უჩინა,
ტყავს ჰხდის მონა-მორჩილთ, ბედმა გაუცინა,
ქუთაისელებსაც სევდა გაუჩინა,
მისთვის საკადრისი არა ჰქონდათ ბინა,
„თავად“ მოიწვიეს, ხელიდან უსხლტდება,
და მით ქუთაისი ძლიერ დანაღვლდება,
მას კი ნიკობურგში არვინ ედავება,
ლექციას უკითხავს, იმის რუსთა ქება;
„მათის მეოხებით ქართველთა აქვთ შვება“.
ქრისტეფორებისგან იმის ალტაცება.
ძველი ნაროდნიკი არის ბუმბერაზი,
მოსწონს სხვისა გონჯი, ჩვენი კი სძაგს ნაზი.
მტრისთვის მალამოა, ძმისთვის არის კაჟი,
მისდან წარმოსდგება ბეგარა და ბაჟი.
უკუღმართობითა გაიტანა ლელო,
არ სწამს დაცემული დღეს მას საქართველო!

III

**ხარუმეტობა**

აწ მესტვირულის კილოზე
კალამსა ვახო ხელია,
თორემ აკაკის ჰანგები,
მკითხველო, შემომელია.
ქართულსა ჟურნალ-გაზეთებს
სიკვდილმა გაჰკრა ცელია...
მოგეხსენებათ ამ დროში:
„ძალა ალმართის მხნელია“.
სამაგიეროდ „რუსული“
ქართველთა დანაბადები..
გამრავლებულან სოკოსებრ
ბიჭები „დელეყანდები“.
„ჰარალო'ს“ გაიძახიან
მუშტ-კრივში დანაცადები,
ნაცარსა ქექვენ ბუხარში,—
მეტი არა აქვთ დარდები.
„ზაკავკაზიემ“ ახალ „რეჩს“
გაჰკრა და გაჰკრა ფანდები;
გოთუა მაგრა დაუდგა,
შემოაცვითა კანტები.
აწ შევწყვეტ... თორემ დაზეჭვდის
კვირისთვის დავგვიანდები!

**ტლანკაძე.**

გთხოვდნენ, შენ მათ ყურს არ უგდებდი და ყურებზე ხელს იფარებდი, რომ ტანჯულთა კვნესა არ გაგეგონა.

შენ ართმევდი ობლებს სარჩო-საბადებელს. ჩემ გვემულთ გზიდან ერეკებოდი, ისინი კი მშვიდობიანად სცხოვრობდნენ უდაბნოში და მე მადიდებდნენ... ბავშვებს პურს ართმევდი და ძაღლებს უყრიდი; შენ რწყავდი უდანაშაულოთა სისხლით ჩემ მიწას, მიწიდან კი მე შენ გაგაჩინე.

— მე ასე ვცხოვრობდი,—უპასუხა ადამიანმა.

უფალმა ხელ-ახლა გადაშალა ადამიანის ცხოვრების წიგნი და უთხრა ადამიანს:

— საძაგელი იყო შენი ცხოვრება... შენ ილაშქრებოდი მშვენიერების წინააღმდეგ, რომელიც მე შენ მოგეცი, შენ ვერ ამჩნევდი კეთილს ჩემგან ნაჩუქარს. შენ ავსებდი სახლის კედლებს სამარცხვინო გამოხატულებებით და ცოდვების საწოლიდან დილით ფლეიტის ხმაზე დგებოდი. შენ შვიდი საკურთხეველი აუგე ქვეყნის ცოდვებს, მე კი წამება მივიღე მისთვის...

შენ სჭამე აკრძალული და სამკეცი სამარცხვინო დაღი ამოკარგულია შენ ალისფერ ტანსაცმელზე. შენ შექმენი კერპები არა სამუდამო ლითონიდან, არამედ გახრწნილი გვამიდან. შენ სურმით ფარავდი მის თმებს, შაფრანით ულამაზებდი ფეხებს და ნოხებს უფენდი წინ.

შენ დაუხლოვე მისი წამწამები სინგურით, ნელსაცხებლით დაზეთე მისი ნაწილები. შენ თავს იხრიდი მათ წინაშე, მზეს წინ უდგამდი მათ ტახტს. მზეს აჩვენებდი შენ სისაძაგლეს, მთვარეს უზიარებდი შენ უჭკუობას.

— დიახ, მე ასე ვცხოვრობდი,— უპასუხა ადამიანმა.

უფალმა მესამედ გადაშალა ადამიანის ცხოვრების წიგნი და უთხრა ადამიანს:

— საზარელი იყო შენი ცხოვრება. შენ ბოროტებით აძლევდი პასუხს კეთილს, უსამართლობით ქველმოქმედებას.

შენ ჰკრილობებით დაფარე ის ხელები, რომლებიც შენ გშველოდენ, შენ წაბილწე ზიზღით ის გული, რომელმაც შენ გამოჰკვება. მწყურვალთ შენ სასმელს არ აძლევდი და შენ კარავში შემოფარებულთ განთიადისას ღალატობდი.

შენ მახეში გააბი ის მტერი, რომელმაც შენ გაპატივა; შენ გაყიდე ერთგული მეგობარი... ოაბალი ვნებით პასუხს აძლევდი მათ, ვინც შენი სიყვარულით იმსჭვალებოდა.

— დიახ, მე ასე ვცხოვრობდი... —უპასუხა ადამიანმა.

უფალმა დახურა ადამიანის ცხოვრების წიგნი და უთხრა ადამიანს:

— ჭეშმარიტად, მე შენ ჯოჯოხეთში გაგგზავნი; მე შენ ჯოჯოხეთის უფსკრულში გადაგისვრი...

ადამიანმა დაიყვირა:

— შენ ვერ იზამ მაგას!

— რისთვის? კითხა უფალმა.

— მე ჯოჯოხეთში ვცხოვრობდი.. —წყნარად უპასუხა ადამიანმა... და დუმილი გამეფდა ცის სამსჯავროში.

ერთ წამს შემდეგ უფალმა უთხრა ადამიანს:

— ჯოჯოხეთში თუ არა, სამოთხეში გაგამგზავრებ მე შენ.

— შენ ვერ იზამ მაგას!—დაიყვირა ადამიანმა.

— რისთვის?—კითხა უფალმა.

— ვერასოდეს, ვერსად მე ვერ შევძელი სამოთხის წარმოდგენა...

და დუმილმა მოიცვა სამსჯავრო.

**თ. ხვამთნელი.**

# მეფუტკრეთა საყურადღებოდ

ბევრმა ქართველმა მეფუტკრემ, შეიძლება, არც კი იცოდეს, რომ ამ ორი წლის წინედ თფილისში დაარსდა „კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოება, თავმჯდომარედ ჩვენი თანამემამულე თავ. პლ. მ. ლორთქიფანიძეა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ ნორჩია, ნაყოფი მაინც მიუძღვის ამ სამეურნეო ამ სამეურნეო დარგის განვითარების საქმეში.

საზოგადოება მხნედ მოეკიდა საქმეს, იძენს ახალ წევრებს, ეძებს წყაროს, რომ პირნათლად შეასრულოს დასახული მიზანი. წარსულ წელს საზოგადოებამ თფილისში მეფუტკრეობის ნაწარმოების გამოფენა, ბაზარი, მოაწყო, რომლის მეოხებითაც ბევრმა მეფუტკრემ თავისი საქონელი კარგ ფასში გაასაღა, უცოდინარმა ცოტა რამ შეიძინა და სხვა.

ერთი სიტყვით, საზოგადოება ფრიად სიმპატიურია და კარგს სამსახურს გაუწევს ჩვენებურ მეფუტკრეებს ჩვენ (ქართველები), რომ ყველაფერში უნდილი და ჩამორჩენილები არ ვიყვენეთ. აშკარაა ამ საზოგადოებით ყველაზე მეტად, ჯერ-ჯერობით, კავკასიის სხვა ერები უფრო სარგებლობენ, ვიდრე ჩვენ... დრო კია ჩვენც შესაფერათ ვისარგებლოდ.

წელსაც საზოგადოება მეორე მორიგ გამოფენა-ბაზრობასა ჰმართავს. გამოფენა-ბაზარი გაიხსნება დეკემბრის 15 და გასტანს 31-მდე.

გამოფენის მიზანია, გამოარკვიოს დღევანდელი მდგომარეობა მეფუტკრეობისა კავკასიაში, ხელი შეუწყოს ფუტკრის გონივრულ მოვლას, გაავრცელოს საჭირო ხელსაწყო იარაღები, ბაზარი მოუპოვოს მეფუტკრეთა ნაწარმოებს და მომწყობი კომიტეტი ყველას მოუწოდებს მონაწილეობა მიიღონ. კომიტეტი მეტადრე დაბეჯითებით **სთხოვს ქართველებს,** გამოგზავნონ თავიანთი ნაწარმოები. ყოველივე ნივთი გასასყიდი თუ გამოსაფენი უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Тифлисъ — Муштаидъ, организаціонному Комитету, выставки ярмарки пчеловодства.

ყოველივე ნივთი, რომელიც უკან იქნება წასაღები, რკინის გზა იმავე სადგურში, საიდანაც წამოიღეს, **უფასოდ** მიიტანს.

გამოფენაზე იქნება სამი განყოფილება:

I

**მეფუტკრეობის ნაწარმოები:**

თაფლი, ფიჭი და დაწურული, ცვილი, თაფლიდან გაკეთებული სხვა და სხ. სასმელ-საჭმელი და სხვა.

II

**მეფუტკრეობის ნივთები:**

დედა-ფუტკარი, მათი გამოჩეკა და გადაგზავნა, სკები, თაფლის საწური, ხელოვნურად საკეთებელი ფიჭისა, საკომლე, პირბადე და სხვა.

III

**მეცნიერულ-სახელმძღვანელო.**

დასაკვირვებელი სკა, კოლექცია ფუტკართა ცხოვრებიდან, ყვავილების და თესლების ნიშნები. ფუტკრების მტრები და ავადმყოფობა, სტატისტიკური ცნობები, წიგნები, როგორც დაბეჭდილი, ისე ხელნაწერი და სხვა.

**გამოფენაზე ჯილდო მიეცემა,** ვინც ღირსი იქნება. ჯილდო (ვერცხლი და ბრინჯაოს მედლები), დანიშნულია შინაგან-მოქმედების და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროიდან.

გარდა ამისა, **დანიშნულია ორი საჯილდო საჩუქარი (призъ),** ერთს მიიღებს საბრეშუმო სადგურისაგან ის ვინც კარგ ხელოვნურ ფიჭს წარმოადგენს, მეორეს ნიშნავს კავკასიის სამოსწავლო წიგნს წარმოადგენს.

დიდად სასურველია, ჩვენმა მეფუტკრეებმა მრავლად მიიღონ მონაწილეობა — თუ ჯილდოს მისაღებად არა, რაიმე ახალი ცოდნის შესაძენად მაინც, ვინაიდან გამოფენაზე წაიკითხავენ ლექციებს, გაიმართება საუბარი, აჩვენებენ სხვა და სხვა ხელსაწყო იარაღებს და სხვა და სხვა მხრის მეფუტკრეები თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას ერთმანეთს გაუზიარებენ.

მეფუტკრე **ან. წულაძე.**

# წერილი ნაძალადევიდან

ნაძალადევი ყველასაგან მივიწროვებულია და ამის გამო მცხოვრებლებმა თვითონ მოიწადინეს თავიანთ თავის პატრონობა. მუშა ხალხს დიდად ესაჭიროება წარმოდგენა-ლექციები, მაგრამ სწორედ ეს ნაწილი საზოგადოებისა თეატრების სიშორისა გამო მოკლებულია ყველა ამას, პატივცემულ ზუბალაშვილის ყურადღება სწორედ ამ დაბალ ხალხისაკენ იყო მიქცეული, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ „სახალხო სახლით“ უფრო მაღალი საზოგადოება სარგებლობს, ვიდრე დაბალი. ამის მიზეზად „სახალხო სახლისა“ უნდა ჩაითვალოს სიშორე რაც „სახალხო სახლის“ აშენებას დასჭირდა, იმ თანხით შეიძლებოდა ყველა განაპირა უბნებში აშენებულიყო მართლაც „სახალხო სახლები“ და არა ერთს ყველასათვის მიუწდომელ ალაგას.

რაკი ნაძალადევის ხალხი ასე ობლად დარჩა, ხალხმავე მოიწადინა თავ-თავიანთ უბნებში წრეების დაარსება, რომელთაც აზრად აქვთ ხალხისათვის ხელ-მისაწდომი წარმოდგენა-ლექციები ჰმართონ—ამ მიზნით ნაძალადეველთაც დაარსეს, ეგრედ წოდებული—„სცენის მოყვარეთა წრე ნაძალადევი“, რომელსაც მიზნად აქვს თეატრი ააშენოს და ჰმართოს წარმოდგენები.

რამდენიმე თვეა რაც ამ წრემ ნებართვა მიიღო. საზოგადო კრებაზე გამგეობა აირჩიეს.

წრემ ქალაქის მმართველობას მიჰმართა და რკინის გზის სახელოსნოს გვერდით მდებარე ბერეზოვსკისეული, შენობის დათმობა სთხოვა. ეს ალაგი დიდუბესა და ნაძალადევისათვის სწორედ შუაგულია. ქალაქისთავმა ყურადღება მიაქცია თხოვნას. მეორე დღესვე სახლის დასათვალიერებლად მოვიდა. აქ დიდძალი ხალხი დახვდა, იქვე წრის ხაზინადარს 25 მან. გადასცა, წრის წევრობის სურვილი გამოაცხადა და თხოვნის დაკმაყოფილებას დაჰპირდა. ეს სახლი ქალ. გამგეობამ წრეს გადასცა, ხოლო ბ. ხატისოვი საპატიო წევრად მიიღო, წრეს კიდევ ერთი საპატიო წევრი-ჰყავს ბ-ნი ა. ვ. ბოტუა, რომელმაც ასი მანათი შესწირა. დამფუძნებელ და ნამდვილ წევრები ასამდეა ჩაწერილი. დამფუძნებელი წევრი წელიწადში ორ მანეთს იხდის, ნამდვილი წევრი კი-ერთ მანეთს. წრის წესდება უკვე იბეჭდება და მალე გასაცნობად საზოგადოებას დაურიგდება, რადგან ქალაქის მიერ დათმობილი სახლი გადაუკეთებლად უვარგისია წარმოდგენა ლექციებისათვის, წრე თანხის შეგროვებას შეუდგა.

სიფხიზლის საზოგადოებას 18,000 მან. და რკინის გზის სახელოსნოს წინა თეატრის შენობა თავისი მოწყობილობით ჰქონია. რადგანაც ეს შენობა თეატრისა თითქმის მუშების აშენებულია და თანხაშიაც წილი აქვთ, ამისათვის წრის გამგეობამ და მუშების წარმომადგენლებმა სთხოვეს დაუთმონ იმ თანხიდან ორასი თუმანი და თეატრის შენობა სცენის მოწყობილობით. რადგან სივიწროვისა გამო შენობის ალაგი რკინის გზისათვის სჭირია, რკინის გზის უმფროსმა წინადადება მისცა სიფხიზლის საზოგადოებას,— ეს თეატრის შენობა დაუყოვნებლივ აიღოს. ორი კვირაა, წრე სიფხიზლის საზოგადოების პასუხს უცდის. მაგრამ ვერც უარს და ვერც თანხმობას ვერ ეღირსა, რადგანაც სიფხიზლის საზოგადოების გამგეობას აქამდე საზოგადო კრების მოწვევა ვერ მოუხერხებია. რადგან წრე სხვა გზას ვერ დაადგება, სანამ საზოგადოებისაგან პასუხს არ მიიღებს, ამისათვის იმედია ნაძალადევის ხალხის უსაჭიროესს მოთხოვნილებას სიფხიზლის საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და რაც შეიძლება მალე მოიწვევს საზოგადო კრებას. სიფხიზლის საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა წრის თხოვნა დაკმაყოფილოს და გონივრულ გართობის უქონლობისა გამო სარდაფებში მოსიარულე მუშა ხალხი ადამიანურს გზაზე დააყენოს.

**რუსთველი ია-ბლ ლი.**

# მოწერილი ამბები

**ქუთაისი.** აგერ სამ თვეზე მეტი იქმნება რაც ქალაქის გამგეობამ კეთილ ინება და შეუდგა ეგრედ წოდებულ „პოდგორნაია“ ქუჩის გაკეთებას, მაგრამ გათავება აღარ ეღირსა, სამ კვირაზე მეტი იქნება მუშაობა შეწყვიტეს. მას შერე კი იმისთან თქვენს მტერს იქ მოსიარულე მეეტლეებს და მედროგეებს დღე ადგათ: ჯერ ერთი ქუჩა ანგრეულია და იმისთანა ტლაპოები დგება რომ ღონიერი თუ არა სუსტი ცხენი ვერ ამოვა. საჭიროა მალე მოათავონ მუშაობა. **ხერ—გერ—მია.**

—

**ქ. სოხუმი.** სწორედ, რომ დიდებული ბუნებაა ძველად წოდებულ დიოსკურიაში-სოხუმში. ჯერ კიდევ მშვენიერი ზაფხულის დღეებია. არე-მარე მწვანით არის შემოსილი, როცა თითქმის ყველგან ზამთარმა შესძარცვა თავისი მკაცრი ბასრები. აქ, ზამთარი არც კი იცის.

თვით სოხუმი პატარა ქალაქია, მაგრამ რამდენი ჯურის ხალხსაც აქ ნახავთ, არა მგონია, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა რომელიმე ქალაქში ნახოთ. რამდენი სხვა და სხვა ჯურის ხალხი, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. წრეულს გვარიანი ბლომად გვეწვივნენ ჭლექიანები, ისე რომ, თუმცა ბევრი პანსიონები და სანატორიუმები არის, მაგრამ ბევრმა ადგილი ვერ იშოვა და ნადგილიანად უკან წავიდნენ.

მაგრამ რამდენადაც ბუნება მხიარულობს და იცინის, იმდენად აქაური ხალხი გონების ძილს მისცემია. აქაურ ყავახანებში, (რომელთა რიცხვი მრავალია) კაცმა რომ შეიხედოს, სულ სავსეა ხალხით. ნარდის, კარტის და სხვა ამ გვარი გასართობით იქცევს თავს ბევრი ყავახანები გათენებამდის დიაა ეს მით უფრო გულ-სატკენია, რომ აქ უფრო მუშა ხალხი ირთობს თავს. და დღიურ შრომით მოპოვებული ფული იქა სტოვებს.

ინტელიგენციას ხომ სძინავს.

კარგი იქმნებოდა, რომ აქაურ ნოქრებს, როგორც სხვა ქალაქის ნოქრებს, მაგ. ქუთაისისას, ტფილისისას, ფოთისას და სხვა ქალაქებისას, ჰქონოდეთ პროფესიონალური კავშირი და დიდი ხნის ძილისთვის (გამოფხიზლებულიყვნენ) მიეცებინათ თავი და გამოფხიზლებოდნენ.

ქართული ენა ხომ თითქმის განდევნილია აქაური საშუალო სასწავლებლებიდან. აქაურ რეალურ სასწავლებელში მარტო ოთხ კლასამდის ასწავლიან ქართულს, ისიც კვირაში ერთი გაკვეთილია თითო კლასში, როცა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მეშვიდე კლასამდის არის შემოღებული ქართული ენა და თითო კლასში ორი გაკვეთილია კვირაში.

არც რეალურ სასწავლებელშია კარგად დაყენებული ქართული ენა. საქალებო გიმნაზიაში, როგორც ერთმა მოწაფემ გადმომცა, ამ სასწავლებელში მოწაფეებს ქართულად ლაპარაკსაც კი უშლიან.

ერთად ერთი აქაურ ქართველების გული ადგილობრივ წ. კ. გ. ს. განყოფილების თავმჯდომარე ქ-ნი მაშო ანჩაბაძისა იგი, რაც კი აქვს ძალა, საზოგადოებას ახმარებს. მისი თაოსნობით გაიხსნა ქართული სკოლა წ. კ. გ. ს. სახელით.

აქაურ საქალაქო სამკითხველოში კაცის თვალი ვერ ნახავს ქართულ გაზეთს.

მიკვირს, რომ ბ-ნი მაჭავარიანი არ აქცევს ამას ყურადღებას, რომელიც აქ ბიბლიოთეკის მეთვალყურეა და ქალაქის თავის მოადგილე.

ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები ხომ სანთლით არის საძებნი.

იმედია, თუ აქამდის არა, ეხლა მაინც მოიგონებს ბ-ნი მაჭავარიანი, და ბიბლიოთეკისათვის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გამოიწერს.

**ყორდან-ოღლი.**

—

**ქ. ახალციხე.** დადგა ზამთარი, ახალციხეც დაყრუვდა რას წარმოადგენს ეხლა აქაური ქართველი ინტელიგენცია, უნდა ვაღიაროთ, რომ არაფერს, სომხების ინტელიგენცია წარმოადგენს მაინც ჰმართავს. ქართველები? მთელ დღეს კლუბში ათენებენ ბანქო-ნარდს თამაშობენ. სომხებს სამკითხველოც აქვთ მოწყობილი ქართველებს კი—არა! არე დარევა და ინტრიგაა გამეფებული. მართალია, ქართველებს სკოლა აქვთ, მაგრამ მას ხელმძღვანელნი „ტანციობის“ მეტს და გართობის მეტს არას აკეთებენ.

14 ნოემბერს ხმა გავრცელდა „დღეს იუბილეა არისო.“

გამიხარდა და თანდაც გამიკვირდა კიდეც: ვინ არის ისეთი გამოჩენილი მწერალი ან მოღვაწე, რომ იუბილეს უხდიან მეთქი.

თურმე 35 წელი შესრულებულა, რაც აქაურს კლუბში კარტ-ნარდის თამაში დაუწყვიათ.

ორივე ერთმორწმუნის ინტელიგენცია დატრიალდა, მეტადრე ქართველები. დიდი სიტყვები წარმოითქვა და დიდი კარტის თამაშით დასრულდა.

სულ მუდამ „ტანცი-მანცი“, არშიყობა და დინზღანდარობა, სხვა არა იყოს რა სირცხვილია.

**გარეული ბზიკი.**

—

**ონოლია** (სენაკის მაზრა) ონოლიაში მთავრობამ ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა დაამტკიცა. სოფელმა სასკოლო ადგილი უნდა შეიძინოს და შენობაც თვითონ ააგოს. სკოლა დროებით კერძო სახლშია მოთავსებული. სკოლისათვის ეკლესიის გვერდით შეარჩიეს ადგილი, რომლის ერთი ნაწილი ქაჯაიებს 21 კომლს ეკუთვნის. სოფე-

ლმა 400 მანეთი შეაძლია მათ. უველა ქაჯაიები დასთანხმდნენ ორი კომლის გარდა. ამ ორ კომლს თითო არშინი ადგილი თუ ერგებათ ამ მიწიდან, და სკოლის საქმეს კი ასე აფერხებენ.

წელს კვარიანი მოსავალი იყო: სიმინდისა, პურისა და სხვ. სოფელმა პურის სალეწი მანქანა გამოიწერა. დიდი შეღავათი მისცა ხალხს ამ მანქანამ. ეხლა ფუთი სიმინდი ორი აბაზი ღირს.

**მართალ-შვილი.**

---

**პანკისის ხეობა.** პანკისის ხეობის საუკეთესო ადგილ-მამულები, რომლებიც ეკუთვნოდა—კობიაშვილს, ნათლიაანთ, ბაქიშვილს და სხვებმა ჩაიგდეს ხელში. მანამ ესენი მოვიდოდნენ, პანკისში დესეტინა კარგი მამული 5—10 მან. იყო; ეხლა უბრალო ღელე ღელე, ისების თქმისა არ იყოს—სათხე მამული, თითქმის გაუვალი ტყე და ჭაობი, დესეტინა 50—80 მან. გარდა. აქამდე ქისტ კაცს მამული ზედ კარებზედა ჰქონდა, არ უშვრდა და ამიტომ არც გემო იცოდა და არც ფასი; უკეთუ მოიგუნებებდა, რომ ორ დღიურზედ მეტი მოეხნა, ამისთვის შორს წასვლა არ სჭირდებოდა; იქირავებდა მამულს, ერთ დღეს დილიდან საღამომდე რასაც შესძლებდა, მოჰხნა ვდა 5—3 მანეთად და მამულიც უხვად აჯილდოვებდა მშრომელს. დღიური აძლევდა 15—20 კოდამდე. მამულის პატრონს დარაჯად ასევე იქაური ქისტი ჰყავდა და ესეც თავისებურად ჰდარაჯობდა,—არც გარედან და არც შიგნით არას უშვებდა; ვინც ამ დარაჯისაგან ტყის ბილეთს აიღებდა, ეტყოდა—წაიღე კაცო, შინ ირგე და მეც მარგეო. საბალახე?! ეს რა სათქმელი იყო! შეიძლებოდა კახეთიდან ცხვრის პატრონებს კურკო წითელი ეყიდნათ და ასასაც ნახევარს-და გამოუჩენდნენ ხოლმე მემამულეს. ქისტებს ეგონათ, ეს მუდამ ასე იქნებოდა. ახლა კი თავში ხელი შემოიკრა: „ახ, შე ოხერო ჩემო თავო, სად იყავ და სად გეძინა"! დაფაცურდა, მაგრამ წიანდელი 5 და 10 მანეთების მაგივრად დესეტინაში 5 მანეთი დასჭირდა. ამასაც თვითონვე უსირცხვილოდ გაიძახის, ძალიან იაფად ვიშოვეო, ნეტა ამ ფასში დამიმტკიცოსო.

ენკენისთვის 28-ში 40 დესეტინა ტყე და მინდორი ხუთმა კომლმა ქისტმა იყიდა 2000 მანეთად ჩოლოყაშვილებისაგან. ამ მაგალითს რა თქმა უნდა, სხვებმაც მიჰბაძეს და უნდა კიდევაც მიჰბაძონ, მაგრამ ვედარც კი შოულობენ გასასყიდ მამულს. ის ადგილ-მამული, რომელიც ჩვენ ქისტს ეს 60 წელია, თვალ-წინ ედო, შიგ დაიარებოდა, თავის საკუთრებასავით სარგებლობდა და აქამდე ვერ მოახერხა ეყიდა. მოვიდა ოსი, იყიდა ეს მამული. ერთმა მათგანმა თავისი ნაწილი ე. ი. მთელი მამულის მერვედი $24^1/_2$ დესეტინა ქისტს მიჰყიდა 140 თუმნად. ამ მამულში მან 500 მანეთი მოიგო. მამული პაჭიჭაძისეულია.

**ქისტი-ჩობანი.**

---

# უცხოეთი

**მხედრთა აჯანყება მაკაოში.**

ქალაქი მაკაო, რომელიც ეკუთვნის პორტუგალელთ და შეიცავს 80 ათას მცხოვრებს, ჩინეთიდან სამხრეთით მდებარეობს, კონტონგიდან 60 ვერსის მანძილზე. მაკაოში, როგორც ლისაბონში მიღებულ ცნობებიდან სჩანს ამ დღეებში ისეთი დიდი ამბოხება მოახდინა მხედრობამ რომ მთავრობა ძალიან შეაფიქრიანა.

ამბოხების მონაწილედ—ჯარის კაცებმა და მეზღვაურებმა—მოითხოვეს დაუყოვნებლივ სისრულეში მოეყვანათ ცნობილი დეკრეტი ბერების განდევნის შესახებ. საღამო ჟამს უცებ გაისმა გემზე სროლის ხმა მაშინვე აქ მყოფი უველა მეზღვაური ნაპირს გადმოსხდა. მატროსებს ხმელეთის ჯარის კაცნიც მეზღვაურებს. მათ უცებ აიღეს თოფხანა, გაინაწილეს იარაღი და წმიდა კლარას დედათა მონასტერში გაემართნენ, სადაც მოითხოვეს მონაზონებისაგან მონასტრის დაუყოვნებლივ მიტოვება. აქედან წავიდნენ და გუბერ-

ნატორი გამოიწვიეს. გუბერნატორის ადიუტანტი ხალხის დამშვიდებას შეეცადა, მაგრამ იძულებული გაჰხადეს გაჩუმებულიყო. გუბერნატორს მათ მოსთხოვეს მონაზონთა განდევნის გარდა ჟამაგირის მომატება და ერთის კლერიკალურ გაზეთის დახურვა. გუბერნატორმა მოთხოვნა შეასრულა სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად.

მონაზონები ამავ დღეს გადავიდნენ გონკონში და თვის მონასტრები და სკოლები მიატოვეს.

**ინციდენტი ლეიპციგის სტუდენტთა კრებაზე.**

ლეიპციგში სენსაცია გამოიწვია ამ დღეებში ლეიპციგის სტუდენტთა კრებაზე მომხდარმა ამბავმა. „თავისუფალ სტუდენტთა კავშირმა" ლეიპციგში მოიწვია საკამათო კრება, რომელსაც დაესწრო სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმართულებათა წარმომადგენელნი.

ორატორთა შორის კრებაზე იყვნენ: ფონ-ზედლიცი, კონსერვატორი ჰეილებრანდი, ცენტრის დეპუტატი დოქტორი შპეიფერი და გერმანელ ეგოისტთა ბელადი ედუარდ პერნტეინი

ბერნშტეინისა და სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ მეტად მკაცრის სიტყვით გაილაშქრა დოქტორმა გენრიცმ, მაგრამ მისს სიტყვას კრებაზე თანაგრძნობით არ შეხვდნენ. მაშინ ორატორი მიუბრუნდა კრებას და დაიძახა; „გაუმარჯოს იმპერატორს ვილჰელმს".

დარბაზში დიდი ხმაურობა ასტუდა. თავჯდომარემ ორატორს შენიშვნა მისცა, ეს პოლიტიკური და საპატრიოტო კრება არ არის, აქ მხოლოდ დინჯი მსჯელობა არის სხვა და სხვა საკითხის გამოგო.

---

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ამ თვის ნახევარში ქ. შ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიიდან მივიღე სამ-სამი ცალი: „რჩეული ნაწერები" იაკობ გოგებაშვილისა, „ბურჯი ეროვნებისა" და „რანი ვიყავით გუშინ". მისივე.

რადგანაც ამანათს წერილი არა მოჰყვა-რა, ვიფიქრე ალბად სტუდენტებში გასავრცელებლად, თუ გამოუგზავნიათ მეთქი და ეს წიგნები აქაურ ქართველ სტუდენტებს გადავეცი.

ჩემის ამხანაგების, მონდობილებით უღრმეს მადლობას ვუძღვნი ჩვენ დამსახურებულ მოღვაწეს ბატონ ი. ს. გოგებაშვილს ამ წიგნების გამოგზავნისათვის.

ვუსურვებთ მათ ავტორს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას მრავალ ჟამიერ!

ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტი **ია ეკალაძე—ცინცაძე.**

---

ბ. რედაქტორო! დ. ცაგერში უფასო სახალხო სამკითხველოს დამაარსებელი კომიტეტი გთხოვსთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში.

კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის ბ. ბიქტორ სამსონის ძე ასათიანს, რომელმაც სამკითხველოს სასარგებლოდ შეკრიბა თავის ნაცნობებში და გამოუგზავნა 20 მანეთი და 40 კაპ., და იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც გულ უხვობა და თავის წვლილი მოაწოდეს სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად; აგრედვე ნესტორ დავითის ძე ჩიქოვანს და ირაკლი გელოვან ჩიქოვანს ფულების მოკრეფაში მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის. სია შემოწირველთა და ჯამი შემოწირულებისა:

1, აკაკი იოსელიანი 2 მან. 2, სოლომონ გრაგოლაშვილი, 3, ნესტორ ფურცელაძე, 4, გიორგი თუთბერიძე, 5, სამსონ არჯევანიძე და 6. ნესტორ მორჩაძე თითო მანეთი, 7, დავით ავალიანი, ბიქტორ მახვილაძე, 9, დავით მაჭავარიანი, 10, ვასილ კლდიაშვილი, 11, გრიგოლ ბუტულოვი 12, ნიკოლოზ ქურციკიძე 13, ვლადიმერ იარალოვი ათ ათი შაური; 14, იოსებ ლორთქიფანიძე 15, პავლე ჯავახაძე 16, ილარიონ ჯავახაძე ექვს ექვსი შაური, 17, ბიჭია გიორგობიანი 18, ევგენი ჩიქოვანი 19, ვასილ მორჩაძე 20, პავლე არჯავანიძე, 21, სიმონ ჯომარჯიძე, 22, ლუკა ჯეჯილავა 23, ალექსანდრე ბიბინაძე, 24, ალექსანდრე გიორგაძე, 25, ლავრენტი გელაშვილი, 26, პავლე კარხოევი, 47, ლუკა კიკვაძე 28, სილიბისტო კვატაშიძე, 29, ლევან (გვარი ვერ ამოვიკითხე) 30, გრიგოლ არჯევანიძე და 31, ელადიმერ ღოღაბერიძე თითო აბაზი.

კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ხარაძე.**


ფოტოგრაფიული და საპირფარეშო მაღაზია

**ო. სოტირიადისა**

გადავიდა პიროჩნი ქუჩაზე, კაზაროვის სახლში, აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ, მადერის სასტუმროს გვერდით № 18. დიდძალი ფოტოგრაფიული ქაღალდები ყველა ქარხნების. ეს არის ახლა მივიღეთ აგრეთვე ფირფიტები „პობედისა", კოდაკისა, გაუფფისა და ლიუმერისა. ორპირი ფირფიტები 8×8 ბუნდოვან ფარანებისთვის, აგრეთვე 9×12 და 4,5×10,7; დიდძალი ფოტოგრაფიული ბლანკები, პასპორტები და სხვ. საპირფარეშო და კოსმეტიკა რუსეთის და უცხოეთის საუკეთესო ფაბრიკებისა. ფასი შეუვაჟრებლად. (3—248—1)

# საკერავი მაშინა

## ზინგერის კომპანიისა

იყიდება

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ

**1** მანეთიდან

ხელის მაშინები ფისად

**25** მანეთიდან

КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

უფასოდ სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(0—246—1)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეზველოვების

## ● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარალანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ფვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—42)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. სად. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—27)

მშობიარეთათვის

# თავშესაფარი

## ბებია-ქალის

# თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაზეზიოვ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—722)

ფირმა არსებობს 1840 წლ. უმაღლეს ხარისხის

# ჩაი

## ბ უ ბ ნ ი ნ

# კუზნეცოვის ამხ.-სა

სავაჭრო ნიშანი

ЗАЯВЛЕНЪ ОТДѢЛУ ПРОМЫШЛЕННОСТИ ТОРГОВЫЙ ЗНАКЪ

ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.

იშოვება ყველგან

ჩაისა და ყავის ვაჭრობა ნარდად

ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964. (20—140—4)

# ტანისამოსის მკერავი

## ი. ნ. სვანიძე

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარგარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

◀ ჩემის ხელმძღვანელობით ▶

ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად. (20—127—16

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები

# მ. ლაღიძისა და ამხ.

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით. ▶

ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—15)

# თევზის მაღაზია

## ს. ა. გუკასოვისა

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ

ტელეფონი № 395



ტელეფონი № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.

ფასები სინიდისიერია. პატივისცემით ს. ა. გუკასოვი. (40—33—25)

# პ ა ტ ე ფ ო ნ ი

## ძმათა პატე პარიზში.

### საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა

● ნემსების გამოცვლა არა სჭირდება, არა ხრიალებს ფირფიტები, არა ფუჭდება! ●

ახალი ამგავი პატეფონი უურუპორო.

№ 1 ფასი 50 მან. № 3 ფასი 65 მან.

ПЛАСТИНКИ ПАТЕ ИГРАЮТЪ БЕЗЪ ИГОЛОКЪ

УТВЕРЖДЕН. ФАБРИЧНАЯ МАРКА

# ფირფიტების დიდი რეპერტუარი ყველა ენაზე

კავკაზიაში ახლად ჩაწერილები. საზოგადოების სათაყვანო ა. მ. დავიდოვის ჩაწერილები.

ნოემბრის გამოჩენილი ფირფიტები:

| ა. მ. დავიდოვი. | დუეტები. | მ. ა. ემსკისა. | ატეს ორკესტრი. |
|---|---|---|---|
| (არტ. იმპ. მარინის ოპერ.) გიტარ. აკომპ. პროფ. ამირი. | ბ. ბ. ჩუპრინნიკოვი და ტარსკი (არტ. იმპ. მარინ. ოპერ.) | ხაოპერ. არტისტ. | 22957 „შვიდი კაჰკაჰი"—გამ. ა. ავაქოვისა. |
| 24374 „შემიბრალე" ყაჩაღების რომ. | 24355 „დუე ჯი მეწისქვილისა და თავადის"—ოპერიდან „რუსალკა" აკომპ. ორკ. დარგომჟ | 27245 „ნატვრა" აკ. როიალ. | 22972 „შაბათი" გამ. ა. ავაქოვისა. |
| 24376 „სიყვარული" ნეაპოლიტან. რომან. | 24356 „ფინის დუეტ" და რუსლანა—ოპერ. „რუსლან. ლიუდმილა" ორკ. აკომპ. (გლინკა) | 27251 „მიწყნარებ. ზღვასთან. აკკ. როიალის. | 22956 „კოლუმბია" ვალსი. |
| | | 27246 „თქვენვე მიხვდით" აკკ. როიალ. | 22968 „გაზაფხულის დაბრუნება" გავოტის. |
| | | 27252 „ერთხელ ტყეში ვსეირნობდი" როიალ. აკკ. | 51454 „უნგრეთის მარში" ოპერ. „სიყვარული" |
| | | | 51459 „ვალსი ოპერ. „ყარაჩის სიყვარული". |

კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი

ერთად-ერთი წარმომადგენელი **კარლ შუმან,** ტფილ. გოლოვინის პროსპ.